განკარგულება:**g-37.37221662**
თარიღი:**15/06/2022**

განკარგულება N36

15 ივნისი 2022 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილების და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების ,,Volkswagen Passat“-ის (სახ ნომრით ZZ 805 FF, საწყისი ღირებულება - 11250 ლარი, საბალანსო ღირებულება - 8730 ლარი) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანება“-სთვის უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით, იურიდიული პირის არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, გადაცემისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი